

სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 20

ქ.თბილისი

27 ნოემბერი 2014 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ.თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ე. ნაჭყეზიას, ი.ჩიქავას და ვ. სამხარაძის მონაწილეობით, მ/წლის 27 ნოემბერს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის გ. ჭიჭინაძის ოქმი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 16 ნოემბერს გაიმართა ესპუარტა ლიგის კალენდარული მატჩი რუსთავის „ხარებსა“ და თბ „ყოჩებს“ შორის. მატჩის მეთვალყურის ვ. ფურცელაძის ოქმის და მთავარი მსაჯის, ნ.ელოშვილის მოხსენებითი ბარათის მიხედვით გამოირკვა, რომ თბ „ყოჩები“-ს მორაგბემ ზაურ გონაძემ (N 17), სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ მსაჯს, რის გამოც მოედნიდან გაძევებული იქნა წითელი ბარათით.

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბ თბ „ყოჩები“-ს მორაგბე ზ. გონაძე დისკვალიფიცირებული იქნას 10 (ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1 000 (ერთი ათასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 27 დეკემბრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ თბ „ყოჩები“-ს მიმართ, ამოქმედებული იქნება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.5-ე მუხლი.

/ე. ნაჭყეზია /

/ ი.ჩიქავა /

/ვ. სამხარაძე /

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი /